

საჯარო დისკუსია თემაზე:

„იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე რეფორმები: შედეგები და პერსპექტივები“

მომხსენებელი: იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე

იუსტიციის სამინისტრო დღეს სულ სხვა სისტემა და სამინისტროა, ვიდრე ეს საბჭოთა კავშირის დროს იყო. 15 წლის განმავლობაში მან არსებითი ტრანსპორმაცია განიცადა. დღეს იუსტიციის სამინისტროს მრავალი ფუნქცია გააჩნია და მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: კანონმდებლობის მომზადება და არსებული კანონპროექტების შეფასება, კანონშემოქმედების ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან, კანონდებლობის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის ფორმირება, მოგრაციული და ემიგრაციული პროცესების რეგულირება, პენიტენციალური სისტემა და პრობაცია, ნოტარიატი, საჯარო რეესტრი, სამოქალაქო რეესტრი, სახელმწიფო არქივი, თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები, სასამართლო ექსპერტიზა, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობა, ეფექტიანი მართველობის სისტემისა და ტერიტორიალური მოწყობის რეფორმის ცენტრი. იუსტიციის სამინისტროს მთავარი ფუნქციაა სახელმწიფოს მთავარი იურიდიული მრჩეველის ფუნქცია.

არც ერთ სამინისტროს არა აქვს ისეთი აქტიური ურთიერთობა მოქალაქეებთან, როგორც იუსტიციის სამინისტროს, ამიტომ ჩვენი რეფორმების ძირითადი არსია გაგუადვილოთ მოქალაქეებს სახელმწიფოსთან ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე, ყოველდღიური ცხოვრება. ამ თვალსაზრისით, ჩვენი რეფორმების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საპასპორტო სისტემა, დღეისათვის: 1) რაიონში მაცხოვრებლებს უკვე შეუძლიათ აიღონ პასპორტები თავიანთ რაიონებში; 2) აუცილებელი აღარ არის პასპორტის აღება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; 3) ადამიანს შეუძლია ჰქონდეს იმდენი პასპორტი რამდენსაც მოისურვებს; 4) საჭიროებისდა მიხედვით, პასპორტები შეიძლება იყოს განსხვავებული მოცულობის.

რაც შეეხება აღსრულების საკითხებს. ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი პრობლემებია დასაძლვეი. საქართველომ უკვე წააგო ორი საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. მაშინ, როცა სახელმწიფოს უნდა გადაეხადა 100.000 დოლარი სხვადასხვა ჯარიმისა და საურავის ხარჯზე გადასახდელი თანხა გაიზარდა 200.000 დოლარამდე. ეს დამაფიქრებელი გარემოებაა, სახელმწიფო წლის ბოლომდე გეგმავს გადაიხადოს აღსრულების კუთხით მოქალაქეებისადმი არსებული ვალი, რაც დღეისათვის შეადგენს: 46 მლნ დოლარს აღწევს.

ცალკე საკითხია, საქართველოს დავები საერთაშორისო არბიტრაჟში. მე პირადად მოვითხოვე მთავრობის სხდომაზე, რომ ყველა სხვა სამინისტროს ჩამოერთვას წარმომადგენლობითი ფუნქცია საერთაშორისო არბიტრაჟში და ეს ფუნქცია გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს. დღეს უკვე ყველა საარბიტრაჟო დავაში იურისტად გამოვა იუსტიციის სამინისტრო. ანალოგიური ითქმის სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობაზეც.

რაც შეეხება კანონმდებლობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება კანონპროექტების პარლამენტში განხილვა თუ არ იქნება იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დასკვნა. სულ ახლახანს პარლამენტმა მიიღო შესწორება პატიმრობის შესახებ კანონში, რომლის მიხედვით ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებული ადამიანები, რამდენიც არ უნდა იყვნენ ისინი, უნდა განთავსდნენ ცალ-ცალკე საკანში. ჩვენი პენიტენციალური სისტემის მდგომარეობიდან გამომდინარე ეს ყოველად შეუძლებელია. ისე რომ, კანონში გათვალისწინებული წესი ფაქტიურად შეუსრულებელი დარჩება.

იმ სამინისტროს მართვა, სადაც მუშაობს 7.000 კაცი, ცხადია ძნელია. ამიტომ აუცილებელია ჩვენი სამსახურების დეცენტრალიზაცია. რაც შეიძლება მეტი ავტონომიურობა უნდა მოიპოვის თითოეულმა სამსახურმა. სამინისტროს დარჩება ხუთი ძირითადი ფუნქცია: 1) პოლიტიკის განსაზღვრა, რაც თავის ასახვას პპოვებს კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში; 2) ერთიან საინფორმაციო პოლიტიკაზე პასუხისგება; 3) ერთიან საფინანსო პოლიტიკაზე პასუხისგება; 5) საკადრო ცვლილებები და კონტროლი.

დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია: სამოქალაქო რეესტრი, რომელიც არის დამოუკიდებელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. დღეს ეს სამსახური გაცილებით უკეთ მუშაობს ვიდრე მუშაობდა, მას აქვს თავისი შემოსავალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ასევეა საჯარო რეესტრიც. ჩვენ ამ მიმართულებით კვლავაც გავაგრძელებთ მუშაობას.

I

ბატონი მინისტრის მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია. დამსწრე-საზოგადოებას ძირითადად აინტერესებდა პენიტენციალურ სისტემაში მიმდინარე რეფორმები. კერძოდ, დასმული იყო შემდეგი კითხვები: როდის იქნება საქართველოს პენიტენციალური სისტემა ევროპული სტანდარტების, იგეგმება თუ არა პატიმართა დიფერენციაცია მსუბუქი, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის მიხედვით (გაითვალისწინებს თუ არა კანონი მათ ცალ-ცალკე განთავსებას), რამდენად მისაღებია ქალაქის ცენტრში ციხეების არსებობა, იგეგმება თუ არა პენიტენციალური სისტემის იუსტიციის სამინისტროს გარეთ გატანა.

ბატონმა მინისტრმა ბრძანა, რომ დაგეგმილია ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ციხეების აშენება: ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში - გლდანის ტერიტორიაზე, რისი აშენების შემდეგაც გაუქმდება ორთაჭალის მოძველებული და ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფი ციხე. საბოლოო ჯამში, დაახლოებით ხუთ წელიწადში საქართველოს პენიტენციალური სისტემა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, რომ მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. რაც შეეხება პენიტენციალური სისტემის იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციიდან გასვლას, ასეთი რამ არ იგეგმება, მაგრამ უნდა მოხდეს სამინისტროს ფუნქციონირების მაქსიმალური დეცენტრალიზაცია, რის შედეგადაც მკვეთრად გაიმიჯნება თითოეული უწყებრივი დანაყოფის კომპეტენცია. რაც შეეხება პატიმართა დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განთავსებას, ასეთი კანონი ჯერ არ არსებობს (ამ თვალსაზრისით არსებობს მხოლოდ ასაკობრივი ცენზი), მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგეს.

II

დამსწრე საზოგადოებამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე შემდეგ საკითხებზე, კერძოდ: ვინ, ან რომელი სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს დეცენტრალიზაციის სტრატეგიას, ხშირია თუ არა სამინისტროში საკადრო ცვლილებებზე სოციოლოგიური გამოკვლევებით, ყველა სამთავრობო უწყებაში, მათ შორის იუსტიციის სამინისტროში, კვლავ მაღალია ნეპოტიზმის დონე. მინისტრის სიტყვით, დეცენტრალიზაციის საკითხებს ეთმობა თვეში ერთი შეხვედრა, სადაც მინისტრი დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელებთან და მოწვეულ იურისტებთან ერთად განიხილავს სამოქმედო გეგმას. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს მინისტრმა ბრძანა, რომ ხშირი საკადრო ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა შორის. ამჯერად სამინისტროს 100 თანამშრომლიდან 25 - შტატიანი თანამშრომელია, 15 მოვალეობის შემსრულებელი, 60 კი - აყვანილია ხელშეკრულების საფუძველზე. წლის ბოლოსათვის იგეგმება თითოეული თანამშრომლის შტატი დაკმაყოფილება. რაც შეეხება ნეპოტიზმს, ბატონმა მინისტრმა ბრძანა, რომ იგი პირადად არის დაინტერესებული, რომ ამ მოვლენას ადგილი არ ჰქონდეს მის უწყებაში და დაინტერესდა დასახელებული სოციოლოგიური გამოკვლევით.

III

დასმულ კითხვათა ნაწილი შეეხებოდა ფონდებისა და კავშირების ხელახალი რეგისტრაციის მიზანშეწონილობას, მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის რეგისტრაციის საკითხებს: ქორწინებას, გვარის შეცვლასა და ა.შ. ბატონმა მინისტრმა ბრძანა, რომ უკვე დარეგისტრირებული ფონდებისა და კავშირების ხელახალი რეგისტრაციის საკითხი სამინისტროს წინაშე არ დგას, მაგრამ არის საუბარი მათი რეგისტრაციის საგადასახადო სამსახურებში გადატანის თაობაზე, თუმცა ეს სამომავლო პერსპექტივაა. რაც შეეხება მოქალაქეთა ქორწინებისა და გვარის გამოცვლასთან დაკავშირებულ პროცედურათა გამარტივებას, ასეთი საკითხი სამინისტროს დღის წესრიგში ჯერ-ჯერობით არ დგას. კითხვაზე უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის პასპორტების გამარტივებული წესით გაცემის შესახებ, ბატონმა მინისტრმა უპასუხა, რომ ეს საკითხი საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება.